

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №5

ქ. მარტვილი

15 მარტი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ალექსი გაბისონია, ალექსანდრე ახვლედიანი, ზურაბ მელიავა, რამაზ ხურცილავა, გიორგი გაბუნია, ლაშა ქობალია, ლევან სურმავა, ელდარ თოდუა, რომან ფონიავა, ირინა გადელია, კობა დარჯანია, ელიზბარ ახვლედიანი, დავით ბარამია, შალვა ბახია, გოგი ბასილაია, გოჩა ლაშხია, ზაზა რუხაია, ნოე დანელია, რობერტ კაკულია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მირიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია, მარტვილის საფეხბურთო სკოლის დირექტორი ჯესი სურმავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გაბისონია.

მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით გააცნო სხდომის მონაწილეებს და სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის დღის წესრიგის პროექტი დასამტკიცებლად დასვა კენჭისყრაზე.

კეჭისყრის შედეგი:

მომხრე 19 წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მამარტის №9 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად გელა საკანდელიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

/მომხსენებელი-ალექსი გაბისონია, საკრებულოს თავმჯდომარე/

3. „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გაბისონიას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად გელა საკანდელიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ, კერძოდ, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით არჩეული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრი ზურაბ ბიგვავას ადგილმონაცვლედ ცნობილ იქნას ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი გელა საკანდელია.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს საკითხს მარტვილის მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად გელა საკანდელიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეცლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად გელა საკანდელიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის №10 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის.

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მ/შ ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ ცვლილება ეხებოდა მარტვილის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის განვითარების ხელშეწყობისათვის ბიუჯეტიდან 100000 ლარის გამოყოფასა და მარტვილის მუნიციპალიტეტის სპორტ-სკოლაში კრივის სექციის განვითარებისთვის სახელფასო თანხის გათვალისწინებას მწვრთნელის მოსაწვევად.

ასევე საკრებულოს სიტყვით მიმართა მარტვილის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ჯესი სურმაგამ, მან ისაუბრა აღნიშნული სკოლის მიღწევებსა და

პერსპექტივებზე და შესაბამისად შედეგების გაუმჯობესების მისაღწევად ითხოვა მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსური რესურსით დახმარება.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აზრი გამოთქვას: ირინა გადელიამ დასვა კითხვა, რომ აღნიშნული თანხის მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მარტვილის ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში გადარიცხვა რამდენად კანონიერი იყო, რაზეც ბონდო თოფურიაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული ოპერაცია კანონთან სრულ შესაბამისობაშია.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 18 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის №6 დადგენილება სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევიას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით სრულადაა გათვალისწინებული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინა სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და საკრებულოს წევრებს აღნიშნულთან დაკავშირებით წარუდგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს „მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს საკითხის წინ გაეკლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 15 მარტის №11 განკარგულება სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია